საქმე №3/ბ-1733-15
№330310015001070934

0001114761915956

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

12 იანვარი, 2016 წელი ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

მოსამართლე - თეა ძიმისტარაშვილი

კერძო საჩივრის ავტორი - ა(ა)იპ ,,მწვანე ალტერნატივა''

მოწინააღმდეგე მხარეები - საქართველოს მთავრობა, სს ,,სახელმწიფო ელექტროსისტემა'', სს ,,ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი'', სს,,ონი კასკადი''

დავის საგანი - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

გასაჩივრებული განჩინება - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 13 ოქტომბრის განჩინება

კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 13 ოქტომბრის განჩინების გაუქმება

კერძო საჩივრის განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენის გარეშე

საქმის გარემოებებთან დაკავშირებით გასაჩივრებული განჩინების დასკვნებზე მითითება

2015 წლის 20 აგვისტოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ა(ა)იპ ,,მწვანე ალტერნატივას'', მოპასუხე საქართველოს მთავრობის, სს ,,სახელმწიფო ელექტროსისტემის", სს ,,ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორს" და სს ,,ონი კასკადის" მიმართ და მოითხოვა საქართველოს მთავრობას, სს ,,სახელმწიფო

ელექტროსისტემას, სს ,,ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და სს ,,ონი კასკადს" შორის 2015 წლის 16 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 აგვისტოს განჩინებით სარჩელზე დადგენილ იქნა ხარვეზი და დაევალა გასაჩივრებული და საქმეში წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, სს ,,სახელმწიფო ელექტროსისტემას", სს ,,ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და სს ,,ონი კასკადს" შორის 2015 წლის 16 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის წარმოდგენა ნათარგმნის სახით სახელმწიფო ენაზე და დამოწმებული სათანადო წესით.

2015 წლის 10 სექტემბერს, ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოითხოვა სარჩელის წარმოებაში მიღება და განმარტა, რომ სარჩელის წარმოდგენის მიზეზი გახდა სწორედ ის გარემოება, რომ ქართულ ენაზე სადავო ხელშეკრულება საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში არ მოიპოვება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 15 სექტემბრის განჩინებით მოსარჩელეს ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა გაუგრძელდა 7 დღის ვადით და განემარტა, რომ მოსარჩელე ვალდებულია დააკმაყოფილოს სარჩელის სასამართლოში წარმოდგენის ფორმალური კრიტერიუმები და წარმოადგინოს გასაჩივრებული საქართველოს მთავრობას, სს ,,სახელმწიფო ელექტროსისტემას, სს ,,ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და სს ,,ონი კასკადს" შორის 2015 წლის 16 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი, ნათარგმნი სახელმწიფო ენაზე და დამოწმებული სათანადო წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით, ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, განემარტა მოსარჩელეს, რომ იმ გარემოებების აღმოფხვრის შემთხვევაში, რამაც გამოიწვია სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმა, შეუძლია კვლავ მომართოს სასამართლოს საერთო წესების დაცვით; სარჩელი თანდართულ მასალებთან ერთად დაუბრუნდა მოსარჩელეს უკან.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი იქნა მემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ვადაში. ამავე

კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა განისაზღვრება ზუსტი კალენდარული თარიღით, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადა იწყება იმ კალენდარული თარიღის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი, ხოლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

სასამართლომ განმარტა, რომ ხარვეზის შევსების შესახებ მოსარჩელისათვის საპროცესო ვადის ათვლა დაიწყო 2015 წლის 22 სექტემბერს შესაბამისად, საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა დასრულდა 2015 წლის 28 სექტემბერს. აღნიშნულ ვადაში მოსარჩელეს არ წარმოუდგენია განცხადება განჩინებით დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრის ან ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე - ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივამ" გაუშვა სასამართლოს მიერ, ხარვეზის აღმოსაფხვრელად დაწესებული საპროცესო ვადა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 447-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილში ან/და 178-ე მუხლში (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ" და „ი" ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილისა, თუ მოსარჩელეს მითითებული აქვს მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზი) მითითებული პირობების დარღვევით ან/და არ არის წარდგენილი სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების იმდენი ასლი, რამდენიც მოპასუხეა, ან/და სარჩელს არ ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, სასამართლო გამოიტანს ხარვეზის შესახებ განჩინებას და მოსარჩელეს დაუნიშნავს ვადას მის შესავსებად. თუ მოსარჩელე დანიშნულ ვადაში შეავსებს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და მოსარჩელისათვის მისი დაბრუნების შესახებ, რაზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი არ უნდა იქნეს მიღებული სასამართლო წარმოებაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 13 ოქტომბრის განჩინებაზე კერძო საჩივარი წარადგინა ა(ა)იპ ,,მწვანე ალტერნატივამ'', რომელმაც მოითხოვა განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინება გამოტანილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის „ა", „ბ", „გ" და 394-ე მუხლის „ე[1]", 285-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტების დარღვევით. კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი. განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა - სასამართლომ გამოიყენა სსსკ-ის 447-ე, 177.3 და 178-ე მუხლები, რომლებიც არ უნდა გამოეყენებინა, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში არ არსებობდა წინამდებარე სარჩელზე ხარვეზის დადგენის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღრული წინაპირობები. კერძოდ, სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინებით დადგენილი ხარვეზი არ გამომდინარეობს როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობიდან და ადასტურებს იმ გარემოებაას, რომ სასამართლომ ზერელედ, ზედაპირულად შეისწავლა წინამდებარე სარჩელი და თანდართული მტკიცებულებები. ვინაიდან საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით (საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წერილი) დადასტურებულია, რომ ქართულ ენაზე შესრულებული სადავო ადმინისტრაციული ხელშეკრულება სამინისტროში არ მოიპოვება გასაჩივრებული ხელშეკრულების თანახმად (სასამართლოს წარედგინა აღნიშნული ხელშეკრულების პირველი და ბოლო გვერდების ქართულ ენაზე შესრულებული ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი 2015 წლის 10 სექტემბერს) კი უდავოდ დასტურდება, რომ საქართველოს მთავრობას სს "სახელმწიფო ელექტროსისტემას", სს ,,ლექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს „ და სს ,,ონის კასკადს" შორის 2015 წლის 16 ივლისს დადებული ხელშეკრულება შედგენილია მხოლოდ ინგლისურ ენაზე. საგულისხმოა, რომ სასამართლო გასაჩივრებულ განჩინებაში საერთოდ არ მოიხსენიებს მოსარჩელის მიერ ხარვეზის შევსების მიზნით სასამართლოში წარდგენილ მტკიცებულებას - სადავო 2015 წლის 16 აგვისტოს ხელშეკრულების ქართულ თარგმანს (პირველი და ბოლო გვერდები). მაშასადამე, საქმის არასრული შესწავლის შედეგად სასამართლოს მიერ მიღებულია არასწორი, უკანონო გადაწყვეტილება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც უნდა გაუქმდეს.

კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ სასამართლომ არასწორად გამოიყენა სასკ-ის მე-4, მე-19 მუხლები და სზაკ-ის მე-14 მუხლი. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად არის დადასტურებული, რომ სადავო ადმინისტრაციული ხელშეკრულება საქართველოს და საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს შორის დადებულია მხოლოდ ინგლისურ ენაზე. რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება სზაკ-ის მე-14 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოს ზემოაღნიშნული მუხლების მოთხოვნების გათვალისწინებით, ინკვიზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე თვით უნდა მიეღო გადაწყვეტილება მოპასუხისათვის გასაჩივრებული ადმინისტრაციული ხელშეკრულებისა და ამ ხელშეკრულების

დადებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების გამოთხოვის შესახებ. ეს უკანასკნელი არ მომხდარა სასამართლოს მიერ, რაც საჩივრის ავტორის აზრით უკანონოა და სრულიად დაუშვებელი.

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ბათილად ცნობას მოითხოვს სწორედ იმ საფუძვლით რომ იგი დადებულია მხოლოდ ინგლისურ ენაზე. ეს უკანასკნელი წარმოადგენს კერძო საჩივრის ავტორის მიერ სასარჩელო მოთხოვნის წარდგენის ერთ-ერთ საფუძველს და არა სარჩელის წარდგენის მიზეზს, როგორც ამას სასამართლო მიუთითებს. სარჩელის წარდგენის მიზეზი კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით არის, მათი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების უხეში დარღვევა. ხოლო სასამართლოს მხრიდან ამ პირობებში ხარვეზის დადგენა იმის შესახებ, რომ წარმოსადგენია ქართულ ენაზე შესრულებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის უსაფუძვლო, კანონსაწინააღმდეგო და მეტად აგდებული, ცინიკური დამოკიდებულება მხარის ინტერესებისა.

კერძო საჩივრის ავტორის აზრით, წინამდებარე სარჩელი შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 177-ე მუხლის მოთხოვნებს, კერძოდ, სარჩელი შედგენილია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშის ასახული კითხვარების მიხედვით, თანმიმდევრულად არის გადმოცემული თითოეული ფაქტობრივი გარემოება. ამ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით მოსარჩელის მოსაზრებები, ასევე თანმიმდევრულად არის მითითებული და წარმოდგენილი ამ ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით (იხ.სარჩელი) შესაბამისად საცივრის ავტორის აზრით, არ არსებობდა წინამდებარე სარჩელის მიღებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული საფუძვლები.

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ გასაჩივრებული განჩინება შეიცავს მითითებას ორგანიზაციის წარმომადგენლისათვის (ნათია ქსოვრელი) ფოსტის საშუალებით ხარვეზის შევსების განჩინების ჩაბარების თაობაზე. მაშინ, როდესაც საქმეში არ მოიპოვება წარმომადგენლობის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი. აქედან გამომდინარე არასწორია სასამართლოს დასკვნა განჩინების ჩაბარებიდან ხარვეზის შეუვსებლობის თაობაზე და ბოლოს კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება საკმაოდ მოცულობითი დოკუმენტია, რომლის თარგმნა და ნოტარიულად დამოწმება დაახლოებით 1000 ლარამდე ღირებულებას შეადგენს. ანუ სასამართლო ამ ოდენობის ხარჯის გაწევას ავალდებულებს უკანონოდ ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს კანონსაწინააღმდეგოდ განხორციელებული საჯარო უფლებამოსილების აღკვეთა, რაც დაუშვებელია.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების დასაბუთება

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, საქმის მასალების შესწავლის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის ფარგლებში გასაჩივრებული განჩინების ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419.1. მუხლით კერძო საჩივრის თაობაზე განჩინება გამოაქვს ზემდგომ სასამართლოს, ხოლო ამ კოდექსის 420-ე მუხლით კერძო საჩივრის ზემდგომ სასამართლოში განხილვა წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ა'' ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუ: ადგილი აქვს 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს. მითითებული ნორმის ,,ე" პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2015 წლის 20 აგვისტოს ა(ა)იპ ,,მწვანე ალტერნატივამ" სარჩელით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, საქართველოს მთავრობის, სს ,,სახელმწიფო ელექტროსისტემის", სს ,,ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორს" და სს ,,ონი კასკადის" მიმართ და მოითხოვა საქართველოს მთავრობას, სს ,,სახელმწიფო ელექტროსისტემას, სს ,,ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და სს ,,ონი კასკადს" შორის 2015 წლის 16 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 აგვისტოს განჩინებით, მოსარჩელეს დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა გასაჩივრებული და საქმეში წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, სს ,,სახელმწიფო ელექტროსისტემას, სს ,,ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და სს ,,ონი კასკადს" შორის 2015 წლის 16 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის წარმოდგენა წათარგმნის სახით სახელმწიფო ენაზე და დამოწმებული სათანადო წესით.

2015 წლის 10 სექტემბერს, ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა კოლეგიას, მოითხოვა სარჩელის წარმოებაში მიღება და განმარტა, რომ სარჩელის წარმოდგენის მიზეზი გახდა სწორედ ის გარემოება, რომ ქართულ ენაზე სადავო ხელშეკრულება საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში არ მოიპოვება. ასევე განცხადებას დაურთო 2015 წლის 16 აგვისტოს ხელშეკრულების ქართული თარგმანის პირველი და ბოლო გვერდები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 15 სექტემბრის განჩინებით, მოსარჩელეს ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა გაუგრძელდა 7 დღის ვადით და განემარტა, რომ მოსარჩელე ვალდებულია დააკმაყოფილოს სარჩელის სასამართლოში წარმოდგენის ფორმალური კრიტერიუმები და წარმოადგინოს გასაჩივრებული საქართველოს მთავრობას, სს ,,სახელმწიფო ელექტროსისტემას, სს ,,ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და სს ,,ონი კასკადს" შორის 2015 წლის 16 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი, ნათარგმნი სახელმწიფო ენაზე და დამოწმებული სათანადო წესით.

პალატა მიუთითებს სარჩელზე თანდართულ მასალებზე, რომლითაც ირკვევა, რომ ა(ა)იპ ,,მწვანე ალტერნატივამ" მიმართა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს და მოითხოვა გადაეცათ 2015 წლის 16 ივლისს კომპანია ,,ფერისთან" გაფორმებული ,,ონის ჰესების კასკადის" მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ" მემორანდუმის ქართული ვერსია.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2015 წლის 12 აგვისტოს წერილით, ა(ა)იპ ,,მწვანე ალტერნატივას" 2015 წლის 07 აგვისტოს N04/06-165 წერილის პასუხად ეცნობა, რომ მათ მიერ მოთხოვნილი მემორანდუმი გაფორმებულია მხოლოდ ინგლისურ ენაზე, შესაბამისად, მისი ქართული ვერსია (თარგმანი) საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში არ მოიპოვება.

სააპელაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელეს წარდგენილი არ აქვს სარჩელი ქმედების განხორციელების დავალდებულების მოთხოვნით (სასკ-ის 24-ე მუხ.) სააპელაციო სასამართლო საჭიროდ თვლის დავის საგნის დაზუსტებას. პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელზე დაადგინა ხარვეზი და შესაბამისად, ხარვეზის შეუვსებლობის გამო, არ მიიღო სარჩელი იმ საფუძვლით, რომ გასაჩივრებული დოკუმენტი არ იყო წარმოდგენილი ქართულ ენაზე. სასამართლო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ **მოსარჩელე** ხელშეკრულების ბათილად ცნობას მოითხოვს სწორედ იმ საფუძვლით რომ იგი დადებულია მხოლოდ ინგლისურ ენაზე და აღნიშნული წარმოადგენს სასარჩელო მოთხოვნის წარდგენის ერთადერთ საფუძველს. პალატის მოსაზრებით, სასამართლომ უნდა იქონიოს მსჯელობა სასკ-ის 28[1] მუხლის საფუძველზე მოთხოვნის ტრანსფორმირებაზე.

სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28[1] მუხლის თანახმად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არ არის შებოჭილი სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით. სარჩელის სახის

შეუსაბამობის პირობებში მოსამართლეს ენიჭება პროცესუალური უფლებამოსილება ოფიციალობის პრინციპიდან გამომდინარე, მიუთითოს მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნის ანუ სარჩელის ერთი სახის სხვა სახის სარჩელად გარდაქმნისაკენ."

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელეს სარჩელი აღძრული აქვს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე და 23-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით და არა ქმედების განხორციელების დავალების მოთხოვნით, ასკ-ის 24-ე მუხლის შესაბამისად, თუმცა მოსარჩელის ფაქტობრივ მოთხოვნაა მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ უზრუნველყოს 2015 წლის 16 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის წარმოდგენა ნათარგმნის სახით, სახელმწიფო ენაზე და დამოწმებული სათანადო წესით (მოსარჩელე აპელირებს იმ გარემოებაზე, რომ ადმინისტრაციულ ორგანოში, მის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი უნდა ინახებოდეს სახელმწიფო ენაზე).

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ უნდა გამოიყენოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28[1] მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება და დაეხმაროს მხარეს სარჩელის ტრანსფორმირებაში, რათა კვალიფიციურად იქნას ჩამოყალიბებული სასარჩელო მოთხოვნა, რის შედეგადაც მიღწეულ იქნება პროცესის ეკონომიურობის მიზანი.

ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და უნდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 13 ოქტომბრის განჩინება და საქმე სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხის გადასაწყვეტად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც გაწეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით.

ა(ა)იპ ,,მწვანე ალტერნატივას'' მიერ კერძო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის თანხის - 50 ლარის საკითხი უნდა გადაწყვიტოს პირველი ინსტანციის სასამართლომ, საქმის განხილვასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების შესახებ საკითხთან ერთად, საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანის დროს, დავის გადაწყვეტის შედეგების მიხედვით;

სარეზოლუციო ნაწილი

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი და 34.1[1] მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 419-ე-420-ე მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ა(ა)იპ ,,მწვანე ალტერნატივას'' კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 13 ოქტომბრის განჩინება და საქმე ა(ა)იპ ,,მწვანე ალტერნატივას'' სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხის გადასაწყვეტად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. განჩინება არ გასაჩივრდება.

მოსამართლე — თეა ძიმისტარაშვილი